ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №543509

ნომერი: AR1108529

თარიღი : 11.02.2013

გაცემის თარიღი : 01.03.2013

გაცნობის თარიღი : 18.03.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 31, N31ა, N31გ/ანა კალანდაძის ქუჩა N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ცირა კვაჭანტირაძე პ/ნ 01017007058
- თბილისი პ.კობახიძის ქ. N 3

ორგანიზაცია:

- შპს "შოთიკო" კოდი: 211327982

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2012 წლის 11 თებერვლის #AR1108529 განცხადება, რომლითაც ითხოთ ქ. თბილისში, პეკინის გამზირზე #31–ში არსებულ #01.10.13.013.044 მიწის ნაკვეთზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციისთვის (I სართულის ცარიელი სივრცია ამოვსება), მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან ირკვევა, რომ აღნშნულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მიშენებები ნაწარმოებია 2007 წლამდე და ექვემდებარება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულებას რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მითითებული საპროექტო ცარიელი სივრცის ლეგალიზაცია დასრულებით იერსახის მოწესრიგების მიზნით მხოლოდ მითითებულ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული ავტოფარეხის დემონტაჟის შემდგომ, რისთვისაც დამატებით წარმოსადგენი გექნებათ მისი მფლობელის თანხმობა ავტოფარეხის დემონტაჟის თაობაზე.

თუ აღნიშნული უკანონო მშენებლობა ნაწარმოებია 2007 წლის შემდეგ და გსურთ მისი რეკონსტრუქცია (მიშენება/დაშენება)საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის II პუნქტის თანახმად დამრღვევის მიერ პროექტის შეთანხმების სტადიაზე, წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტი და ჯარიმის ქვითარი ან უნდა მოითხოვოთ არსებული უკანონო შენობა–ნაგებობის დემონტაჟი და ახალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

საკიტხი უნდა დააყენოთ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ცარიელი სივრცის ლეგალიზება დასრულებაზე და განცხადება უნდა შეავსოთ www.tas.ge-ზე > ელექტრონული განცხადებები > ლეგალიზება > მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და წარმოადგინოთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.